5-24

34(05)
5-24

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის იანვრის 12	№ 1 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მუხ. 1. 1932 წელს სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის შესახებ.
2. ხუთწლედის მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციის მსვლელობის შესახებ.
3. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების გარდაქმნისა და რაციონალიზაციის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

4. უცხოეთიდან ა/კსფსრ-ში ბამბის მავნებელთა გადმოსვლის საწინააღმდეგოდ ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე კარანტინის დაწესებისა და ნახიჩევანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლოვანი ჭიის სალოკალიზაციო ღონისძიებათა შესახებ.
5. 1932 წლისთვის ხელშეკრულებების დადების კამპანიის ხელმძღვანელობის შესახებ.
6. ა/კ. ტრაქტორცენტრის და მისი რესპუბლიკანური განყოფილებების დებულებების დამტკიცების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

7. სამეურნეო და საბჭოთა სამუშაოებზე დემობილიზებულ წითელარმიელთა გამოყენების შესახებ.
8. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობების მიერ პურის ჩაბარების გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.
9. პურის მარაგთა აღნუსხვისა და შენახვის მდგომარეობის შესახებ.
10. ნახიჩევანის სსრ-ის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსიის დადგენილების ამიერკავკასიის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ აღსრულების შესახებ.
11. „საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. ივლისის 10-ის დადგენილებისა და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

12. ა/კსფსრ-ში ბაღებისა და ბოსტნების წამლობის მსვლელობის შესახებ.
13. ადგილობრივი მატყლისათვის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტის სტანდარტის დამუშავების საკითხის შესახებ.
14. ამიერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების სამუშაოთა მსვლელობის შესახებ.
15. ა/კსფსრ საკონსერვო ქარხნების ხაბჭოთა მეურნეობების საკითხის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1. 1932 წელს სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება 1931 წელს სასოფლო ბიუჯეტების მდგომარეობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად სასოფლო ბიუჯეტების უდიდესი მნიშვნელობისა, როგორც სასოფლო საბჭოების განმტკიცების და მუშაობის გაშლის მატერიალური ბაზისისა,—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების ორგანოებმა არ შეაფასეს სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის მთელი პოლიტიკურ-სამეურნეო მნიშვნელობა და არ იხმარეს საჭირო ღონისძიებანი, რათა პრაქტიკულად განხორციელებულიყო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილება „ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 № ი, მუხ. 178).

ამის შედეგია ის, რომ აღნიშნული დადგენილება ფაქტიურად განხორციელებული არ არის. სასოფლო ბიუჯეტი ვერ იქცა სასოფლო საბჭოს სამეურნეო მოქმედებისა და ინიციატივის წარმატების საშუალებად.

რესპუბლიკებში არა სწარმოებს ბიუჯეტის სფეროში საუკეთესო მუშაობის ნიმუშის მაჩვენებელი ამა-თუ იმ სასოფლო საბჭოების გამოცდილების შესწავლა.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა არ დაუთმეს საჭირო ყურადღება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საამისო მუშაობისათვის კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაწევის საქმეს და როდი უზრუნველჰყვეს მუშაობის ეს სფერო სათანადო კადრებით.

მიწერმოწერა სასოფლო ბიუჯეტის საკითხების გამო ზევიდან ქვედამდე რუსულ ენაზეა, რის გამოც უმეტეს შემთხვევაში იგი ქვემდგომ მომუშავეებისათვის გაუგებარია.

არ არსებობს პოპულიარული ლიტერატურა სასოფლო ბიუჯეტის შესახებ ეროვნულ ენებზე.

სასოფლო ბიუჯეტის შთანერგვას აყოვნებს, აგრეთვე ამ მუშაობის გადამეტებული ცენტრალიზაცია აზერბაიჯანისა და სომხეთის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მხრით.

ასეთს ოპორტუნისტულ მოპყრობას ფინანსთა სახალხო კომისარიტის ორგანოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა სასოფლო ბიუჯეტის საკითხისადმი შედეგად მოჰყვა ის, რომ:

ა) სასოფლო საბჭოებმა ვერ შეითვისეს თავიანთი საბიუჯეტო უფლებანი;

ბ) სოფლის ფართო მასსები ჩაბმულნი არ არიან ამ მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრების საფუძვლეზე;

გ) იქ, სადაც სასოფლო ბიუჯეტი არსებობს, ამ ბიუჯეტში ძალიან მცირე ადგილი უჭირავს საწარმოო ხარჯებს;

დ) სასოფლო საბჭოებს აქამდე არ გადასცემიათ სასოფლო მნიშვნელობის ყველა საწარმო.

რათა მოხდეს გადამწყვეტი გარდატეხა სოფლის ბიუჯეტების შთანერგვის საქმეში და რათა უზრუნველყოფილ იქნეს 1932 წელს მათი შემოღება ა/კსფსრ ყველა სასოფლო საბჭოში, — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — 1932 წლის ჯუმლობითი ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ ყველა სასოფლო საბჭოს გადაყვანა დამოუკიდებელ სასოფლო ბიუჯეტზე შემდეგი საფუძვლების მიხედვით:

ა) გადაეცეს სასოფლო ბიუჯეტებს ყველა იმ წყაროს შემოსავალი, რაც სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზეა, გარდა საარაიონო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე წყაროებისა;

ბ) შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან გადაირიცხოს სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში 75%;

გ) დაიტვირთოს ყველა სასოფლო ბიუჯეტი სასოფლო მნიშვნელობის ყოველი ხარჯით;

დ) მიღებულ იქნეს ღონისძიება სასოფლო საბჭოების შინაგანი რესსურსების სრული მობილიზაციისათვის, რისთვისაც საჭიროა აღინუსხოს და დაკავშირებულ იქნეს ბიუჯეტთან სასოფლო საბჭოების ყველა ბიუჯეტ-გარეშე სახსარი;

ე) გამოყენებულ იქნეს, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, კულტურულ-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელების საქმისათვის სამეურნეო ორგანოებისა, პროფესიონალური კავშირებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და მოსახლეობის როგორც ფულადი, ისე მატერიალური სახსარი;

ვ) სასოფლო ბიუჯეტებში სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებანი გატარებულ იქნეს მტკიცე მომჭირნეობით, ნამეტნავად საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — კუთვნილებისამებრ — გააძლიერონ როგორც ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ისე რესპუბლიკანურ ფინანსთა სახალხო კომისარიატებში სასოფლო ბიუჯეტების გამგეები უჯრედები.

3. რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა უნდა უზრუნველჰყონ სასოფლო საბჭოები სათანადო კვალიფიკაციის მქონე საფინანსო მომუშა-

ვეებით, რისთვისაც გადიდებულ უნდა იქნეს სარაიონო საფინანსო კურსების მსმენელთა კონტინგენტი.

4. სასოფლო საბიუჯეტო მუშაობა გადატანილ იქნეს უშუალოდ სოფლად და ამ მუშაობის გარშემო უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფები საფინანსო-საგადასახადო სექციების შედგენილობით, ხოლო იქ, სადაც ეს სექციები მოწყობილი არ არის, უნდა მოეწყოს სპეციალური ბრიგადები სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვისა და განმტკიცებისათვის; ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს რაიონში არსებული თანაბარი ჯგუფების ურთიერთ შორის სოციალისტურ შეჯიბრების საფუძველზე.

5. რათა სოფლის საზოგადოებრიობა მობილიზებულ იქნეს სასოფლო ბიუჯეტის საკითხების გარშემო და სასოფლო საბჭოებმა შეითვისონ თავიანთი საბიუჯეტო უფლებანი, რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა უნდა მოიწვიონ ყველა რაიონში სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელთა და მოანგარიშეთა თათბირები და დაწვრილებითი ინსტრუქტირება გაუწიონ მათ სასოფლო ბიუჯეტისათვის მუშაობაში, ამის შემდეგ სასოფლო ბიუჯეტის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოების პლენუმებზე.

6. წინადადება მიეცეს „ზაკანიგა"-ს—გამოსცეს უმოკლეს ვადაზე ეროვნულ ენებზე პოპულიარული ბროშურა ან პლაკატი სასოფლო საბიუჯეტო უფლებათა შესახებ. ამავე ვადაზე წარუდგინოს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას 1932 წ. სასოფლო ბიუჯეტების შესახებ ეროვნულ ენებზე გამოსაშვებ პოპულიარულ გამოცემათა გეგმა.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ფინანსთა სახალხო კომისარიატებს მთელი მიწერმოწერა რაიონებთან და სოფლებთან სასოფლო ბიუჯეტის საკითხის შესახებ აწარმოონ ეროვნულ ენებზე.

8. მიენდოს „ზარია ვოსტოკა"-ს და რესპუბლიკანურ და სარაიონო გაზეთებს—მოაწყონ თავიანთ ფურცლებზე „გადაძახილი" საუკეთესო სასოფლო საბჭოებთან მათი საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობის მიხედვით.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოისმინონ, არა უგვიანეს დეკემბრის ნახევრისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატების მოხსენებანი ამა დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

10. დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს კონტროლის გაწევა ამა დადგენილების შესრულებისათვის. მოსმენილ იქნეს, არა უგვიანეს დეკემბრის 25-სა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უზრუნველჰყოფს 1932 წელს სასოფლო ბიუჯეტების სრულ შთანერგვას.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. დეკემბრის 13.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

2. ხუთწლედის მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელისშემწყობი ამიერკავკასიის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ა. ხუმარიანის მოხსენება—ხუთწლედის გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციის შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ, ქალაქის პროლეტარიატის ენტუზიაზმისა და მაღალი აქტიობის მეოხებით და სოფლის კოლმეურნეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების მხარის დაჭერით, ა/კსფსრ-ში სესხის რეალიზაცია გაიშალა სრულის წარმატებით და, წინასწარი ცნობების მიხედვით, იძლევა, სიერთოდ, დამაკმაყოფილებელ შედეგს.

დეკემბრის 15-ის ცნობებით, ა/კსფსრ-ში—ქალაქად და სოფლად, სესხი გავრცელებულია 77.535.000 მან. რაოდენობით ან საკონტროლო ციფრების 123%-ით; განსაკუთრებით აღსანიშნავია სესხზე ხელისმოწერის ჩატარება მუშა-მოსამსახურეთა შორის, რამაც მიაღწია 59.043.000 მან., ან 134%-ს; აგრეთვე საყურადღებოა სესხის გავრცელება ანგარიშის ნაღდად გასწორებით ინდივიდუალურ მეურნე-გლეხთა შორის, რაც შეადგენს 7. 891.000 მან. ან მათ მიერ ხელისმოწერით ნაკისრები მთელი თანხის 92%-ს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ამასთან ერთად აღნიშნავს მთელ რიგ სერიოზულ დეფექტებს მუშაობის ცალკეულ დარგებში და ცალკეული მაჩვენებლების შესრულების ჩამორჩენას; კერძოდ—ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის დიდი განსხვავება სავარაუდო ხელისმოწერასა და გაფორმებულ ხელისმოწერას შორის, რაც დეკემბრის 15-თვის შეადგენდა 1. 576.000 მან., საიდანაც მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურ ხელისმოწერაზე მოდის 956.000 მან., ხოლო კოლმეურნეთა ხელისმოწერაზე—620.000 მან.; აგრეთვე შესრულებული არ არის ახალი საკონტროლო ციფრები სოფლად კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის: რეალიზებულია სულ 13.341.000 მან., ან დავალების—89,5%-ი.

არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს შემოსასვლელი სესხის საკასსო გეგმის შესრულება, განსაკუთრებით სოფლად, სადაც 1931 წლის დავალება შესრულებულია მხოლოდ 68,2%-ით.

სესხით მუშა-მოსამსახურეთა მოცვის 91,3%-ი და კოლმეურნეობათა მოცვის 78%-ი უნდა ჩაითვალოს საერთოდ არასაკმარისად.

ამიერკავკასიის ცენტრალური ხელისშემწყობი კომისიის მუშაობა ხუთწლედის გადამწყვეტი წლის სესხის კამპანიის მოწყობისა და ჩატარებისათვის აღიარებულ იქნეს, საერთოდ, დამაკმაყოფილებლად; აღინიშნოს მის მიერ გამოჩენილი აქტიობა და ინიციატივა კამპანიის გარშემო საზოგადოებრიობის მობილიზაციისა და ა/კსფსრ ხელისშემწყობი კომისიების მთელი სისტემის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის უშუალოდ და რესპუბლიკანური ხელისშემწყობი კომისიების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკანურმა ხელისშემწყობმა კომისიებმა კამპანიის დასაწყისში გამოიჩინეს მუშაობაში აქტიობა, ხოლო შემდგომ, უკანასკნელ თვეებში, თვალსაჩინოდ მიანელეს თავიანთი მუშაობა, თავი დაანებეს რეგულიარულად სხდომების მართვას და შესწყვიტეს ცოცხალი კავშირი ადგილობრივ ხელისშემწყობ კომისიებთან და რაიონებთან, რამაც კამპანიის დამთავრების პასუხსაგებ მომენტში შექმნა დემობილიზური განწყობილება ხელისშემწყობი კომისიების სისტემაში და საზოგადოებრიობაში.

რათა გამოსწორებულ იქნეს მუშაობის ჩამორჩენილობის ხაზი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალურ ხელისშემწყობ კომისიას:

ა) მკვეთრი ღონისძიებებით გააძლიეროს რესპუბლიკანური და ქვედა ქსელის ხელისშემწყობი კომისიების მუშაობის ტემპი, რათა კამპანია წარმატებით იქნეს დამთავრებული ქალაქად და ნამეტნავად სოფლად;

ბ) წარმართოს ხელისშემწყობი კომისიების ძალღონე, საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებითა და საფინანსო-საკრედიტო აპარატის მობილიზაციით, სესხის რეალიზაციის ყველა რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების შესრულებისათვის და დაადგეს მტკიცე გეზს, რათა ყველა დავალება შესრულებულ იქნეს აუცილებლად მიმდინარე წელს და მომავალ წელს შევხვდეთ უვალოდ;

გ) გაამახვილოს, კერძოდ, ხელისშემწყობი კომისიებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება იმისათვის, რათა დაუყოვნებლივ ლიკვიდირებულ იქნეს განსხვავება აღნუსხულ და გაფორმებულ ხელისმოწერას შორის, რათა ასი პროცენტით იქნეს შესრულებული გლეხობაში სესხის გავრცელების დავალება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მუშა-მოსამსახურეებისა ქალაქად და განსაკუთრებით-კი კოლმეურნეების სოფლად კოლექტიური ხელისმოწერით მისაღები თანხების მთლად და ნაღდად შემოსვლა მეოთხე კვარტალის საკასსო გეგმის მიხედვით;

დ) განაგრძოს დაუცხრომელი ენერგიით და ყურადღებით იმ მშრომელთა ხელისმოწერით მოცვა, რომელნიც ჯერ კიდევ ჩაბმულნი არ არიან, განსაკუთრებით საწარმოში ახლად მისული მუშა-ძალისა, რათა აღსრულებულ იქნეს კამპანიის საბრძოლო ლოზუნგი „არც ერთი მშრომელი ქალაქისა და სოფლისა უაბლიგაციოდ“;

ე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა აღნიშნულ დავალებათა შესასრულებლად მასსური მუშაობის ორგანიზაციისათვის,—სოციალისტური მეთოდების ფართო შეფარდებით, და უზრუნველჰყოს აქტიური მონაწილეობა მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოსაწყობ ფინესტაფეტაში;

ვ) მიიღოს მოქმედი ღონისძიებანი, რათა მოისპოს რესპუბლიკანური ხელისშემწყობი კომისიების მიერ ხანგრძლივად მუშაობის შეწყვეტა და საქმის დაყოვნება და თავიდან აცილებულ იქნეს ის მოვლენა, რომ ამ კომისიების წევრთა დიდი უმეტესობა სხდომებს არ ესწრება; განახლებულ იქნეს ამ მიზნით კომისიების შედგენილობა და სხდომები იმართებოდეს რეგულიარულად—დეკადაში ერთხელ მაინც—საწარმოში, მუშათა საზოგადოებრიობისა და სახელმწიფო კრედიტის მომუშავეთა აქტივის მონაწილეობით; მოეწყოს აგრეთვე კომისიების საგამსვლელო სხდომები რაიონებში და ჯგუფობრივი თათბირები;

ზ) მიიღოს გადამჭრელი ღონისძიებანი საზოგადოებრივი ინსტრუქტორების ინსტიტუტის აქტივიზაციისათვის და ხელისშემწყობი კომისიების თვითეული წერტის ინსტრუქტორების კადრებით უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებით მათ ქვედა ქსელში.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს:

ა) მოისმინონ უახლოესსავე სხდომაზე სათანადო ხელისშემწყობი კომისიების მოხსენებანი და იხმარონ თავიანთი ხაზით ღონისძიებანი ამ კომისიების აქტივიზაციისათვის და განაახლონ მათი შედგენილობა ენერგიით სავსე ამხანაგებით;

ბ) დაავალონ სათანადო საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შეიტანონ თავიანთ უახლოესსავე სხდომებზე საქალაქო და სარაიონო ხელისშემწყობი კომისიების საანგარიშო მოხსენებანი—ქალაქსა და რაიონში სესხის კამპანიის მსვლელობისა და შედეგების შესახებ; აგრეთვე შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი—სასოფლო საბჭოების მეშვეობით მასსური მუშაობის ფართოდ გაშლისათვის, სესხის კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის სოფლად, განსაკუთრებით-კი კოლექტიურ მეურნეობებში.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაავალოს რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებს—გაშალონ ფართოდ მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებში სესხის საკონტროლო ციფრების აღსრულებისა და გადამეტებით აღსრულებისათვის.

4. გაძლიერებულ იქნეს ხელისშემწყობი კომისიის ქვედა ქსელისათვის ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა, რათა ობლიგაციების დაგირავებისა თუ გაყიდვის საკითხების გადაწყვეტას სასტიკი სერიოზულობით ეპყრობოდნენ.

5. ხუთწლედის გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციის კამპანიის მოწყობასა და ჩატარებაში ინიციატივისა და აქტიური ხელმძღვანელობის გამოჩენისათვის დაპრემირებულ იქნენ ამიერკავკასიის ცენტრალური ხელისშემწყობი კომისიის თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე, ბაქოს, ტფილისისა და ერივანის საქალაქო ხელისშემწყობი კომისიების თავმჯდომარენი და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ორი საგიტაციო-სამასსო ხელმძღვანელი.

6. ორი დეკადის გასვლისას ამიერკავკასიის ცენტრალური ხელისშემწყობი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის მოხსენება—ამა დადგენილების აღსრულების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. დეკემბრის 22.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

3. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების გარდაქმნისა და რაციონალიზაციის შესახებ.

ქვედა აპარატის შემდგომი განმტკიცებისა და სოციალიზმის მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის საჭიროებათათვის შეფარდების მიზნით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. „საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ძირითად დებულებათა შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 23-ის დადგენილების შესაბამისად (გამოქვეყნებულია „სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 26(№-ში 1931 წ. სექტემბრის 26-ს),—**მე-10 მუხლი** ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილებისა „ა/კსფსრ-ში ოლქების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რაიონების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 178) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„10. თვითეული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში მოეწყობა საერთო, საადგილმამულო და საფინანსო განყოფილებანი, აგრეთვე საგეგმო კომისია და სარაიონო მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ამის გარდა, თვითეულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ: მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო სამმართველო, საბჭოთა მშენებლობის ინსტრუქტორები, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების კომიტეტი, სახალხო განათლების ინსტრუქტორები და სარაიონო ინსპექტორები: ა) ადგილობრივი მეურნეობისათვის, ბ) საგზაო მეურნეობისათვის, გ) მომარაგებისათვის, დ) ჯანმრთელობისათვის, ე) შრომისათვის, ვ) სოციალური უზრუნველყოფისათვის, ზ) სამხედრო საქმისათვის და თ) ფიზიკური კულტურისათვის.

ა/კსფსრ შედგენილობაში შვმავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით—თვალსაჩინოდ განვითარებული ადგილობრივი მრეწველობისა და თვალსაჩინო კომუნალური მეურნეობის მქონე რაიონებში შეიძლება მოეწყოს ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებანი, ხოლო გზათა თვალსაჩინო ქსელის მქონე რაიონებში—საგზაო მეურნეობის განყოფილებანი; აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში შეიძლება მოეწყოს სახალხო განათლების განყოფილება.

შენიშვნა 1. რაიონში მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, მუშათა და გლეხთა მილიციისა და სასამართლოს ორგანოების ორგანიზაცია განისაზღვრება სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების განსაკუთრებული კანონებით.

შენიშვნა 2. სამხედრო საქმეთა ინსპექტორები, ექვემდებარებიან-რა საერთო საფუძველზე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, თავიანთ

ოპერატიულ მუშაობას აწარმოებენ სათანადო სამხედრო კომისრის ხელმძღვანელობით.“

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა განხორციელებულ იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება— სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილების სარაიონო საგეგმო კომისიებად გადაკეთების შესახებ.

3. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—ორი თვის გასვლის შემდეგ შეამოწმოს, რამდენად იქნება შესრულებული ესე დადგენილება და შედეგი მოახსენოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. დეკემბრის 22.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

4. უცხოეთიდან ა/კსფსრ-ში ბამბის მავნებელთა გადმოსვლის საწინააღმდეგოდ ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე კარანტინის დაწესებისა და ნახიჩევანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლოვანი ჭის სალოკალიზაციო ღონისძიებათა შესახებ.

უცხოეთიდან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ბამბის მავნებელთა გადმოსვლის თავიდან ასაცილებლად და აგრეთვე ნახიჩევანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ ტერიტორიაზე ბამბაში აღმოჩენილი ეკლოვანი ჭის სალოკალიზაციოდ—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო,—„სსრკ-ის მებამბეობის რაიონში ბამბის მავნებელთა შეტანის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილების განსაკუთარებლად და „საიმპორტო ბამბის ტვირთისათვის კარანტინის მოწყობის შესახებ“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოტანილი 1931წ. ივნისის 6-ის დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად,—ადგენს:

1. უცხოეთის ბამბისა და საბამბე ტვირთის შემოზიდვა ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეიზღუდოს და სწარმოებდეს მხოლოდ შემდეგი პუნქტებით: სპარსეთის საზღვარზე—ბაქოთი, ჯულფით, შახტახტით და ოსმალეთის საზღვარზე—მარქარით და ეს პუნქტები გამოცხადებულ იქნეს საკარანტინო დათვალიერების პუნქტებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აიკრძალოს ა/კსფსრ-ში უცხოეთის ბამბის შემოზიდვა სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის საკარანტინო სამსახურის განსაკუთრებული მოწმობის გარეშე იმის შესახებ, რომ თვითეულ შემოსაზიდ პარტიას ბამბის მავნებლები გადადებული არ აქვს.

3. ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1-ლ მუხლში აღნიშნული საკარანტინო პუნქტებით მოსულ უცხოეთის ბამბას (ბამბა-ბოჭკო და ნედლი ბამბა) და საბამბე ტვირთს, როგორიც არის: ბამბის თესლი და პარკი, მცენარე, საფეიქრო და საბამბე ფაბრიკების ბამბის ნარჩომი, ბამბისაგან გაკეთებულ მასალაში შეხვეული ტვირთი, აგრეთვე ბამბის შესახვევი ტარა,—უნდა გაუკეთდეს საკარანტინო დათვალიერება, ხოლო თუ საჭიროა, გაზის დეზინსექციაც არა უგვიანეს 24 საათისა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ტვირთის მოსვლის მომენტიდან.

4. სსრკ-ის სხვა საბამბე რაიონებიდან, აგრეთვე ა/კსფსრ ფარგლებში დაბრუნებული ტარა განსაკუთრებული მოწმობის გარეშე, რომ ამ ტარას დეზინსექცია აქვს გაკეთებული მისი დაცლის ადგილას, შემოზიდულ უნდა იქნეს ბაქოს საკარანტინო დათვალიერების პუნქტით, სადაც მას გაუკეთდება გაზის დეზინსექცია.

5. ა/კსფსრ ტერიტორიაზე უცხოეთის ბამბისა და აგრეთვე სსრკ-ის სხვა საბამბე რაიონებიდან წარმოგზავნილი ბამბის გატარება საწარმოებს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის საკარანტინო სამსახურის მიერ საამისოდ გამოცემული და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისამებრ, რაც აუცილებლად უნდა შეასრულოს ა/კ. რკინის გზების დირექციამ.

6. ამა დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი ტვირთის საკარანტინო დათვალიერებასა და დეზინსექციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი უნდა გაიღოს ტვირთის მიმღებმა სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის საკარანტინო სამსახურის მიერ დადგენილი და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ნიხრით.

7. სომხეთის სსრ და ნახიჩევანის სსრ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლოვანი ჭიის ლოკალიზაციის მიზნით:

ა) აიკრძალოს მარტის 1-დან დეკემბრის 1-დე სპარსეთიდან, სომხეთის სსრ დან და ნახიჩევანის სსრ-დან სსრკ-ის საბამბე რაიონებში მე-3 მუხლით გათვალისწინებული ყველა საბამბე ტვირთის შეზიდვა სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის საკარანტინო სამსახურის უნებართვოდ;

შენიშვნა. დეკემბრის 1-დან მარტის 1-მდე ნებადართულია სპარსეთიდან, სომხეთის სსრ-დან და ნახიჩევანის სსრ-დან თავისუფლად შეზიდვა და გამოზიდვა მე-3 მუხლში აღნიშნული ყველა ტვირთისა, ბამბის თესლის გარდა;

ბ) ნახიჩევანის სსრ ტერიტორიაზე მოკრეფილი ნედლი ბამბის გაწმენდა თავმოყრილ იქნეს მარტოოდენ ნორაშენის ბამბასაწმენდ ქარხანაში;

გ) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—მიანდონ სტალინისა, ნახიჩეევანისა, ყამარლუისა, ვედინისა და ყურდუქლის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—აუკრძალონ მოსახლეობას გამოყენება მოჭრილი ბამბის ნარჩომისა, რაც მინდვრად იქნება შეგროვილი, (ღერო და პარკი) სხვა რაიმე საჭიროებისათვის, გარდა როგორც სათბობისა, იმ პირობით, რომ ეს ნარჩომი გამოყენებულ იქნეს 1932 წ. მარტის 1-დე;

ამ ვადის შემდეგ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის საკარანტინო სამსახურს უფლება აქვს დასწვას ეს ნარჩომი ადგილობრივვე მეპატრონეთათვის ღირებულების აუნაზღაურებლად;

დ) წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—მიანდოს სტალინისა და ნახიჩევანის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიება, რათა შემოდგომის და ზამთრის ხვნა იმ მინდვრებზე, რომლებზედაც ბამბა ეთესა, ჩატარებულ იქნეს შემდგომ წყლის მოღვარვით არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 15-სა.

8. მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისროს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორის საკარანტინო სამსახურს.

9. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმს. **ს. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 1.
№ 435
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-7 №-ში 1932 წ. იანვრის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

5. 1932 წლისთვის ხელშეკრულებების კამპანიის ხელმძღვანელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. დოგადოვს—გაუწიოს ხელმძღვანელობა ა/კსფსრ-ში 1932 წლისათვის გენერალური ხელშეკრულებების დადების კამპანიას.

უფლება მიეცეს ამხ. დოგადოვს გადასწყვიტოს ხოლმე როგორც უშუალოდ, ისე მის მიერ დანიშნული მთავრობისეული არბიტრების მეშვეობით, ყველა ის დავა, რაც აღიძვრის გენერალური ხელშეკრულებების დადების დროს სხვადასხვა სახალხო კომისარიატების სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს შორის,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დოგადოვის გადაწყვეტილებანი გენერალური ხელშეკრულებების დადების დროს აღძრულ შეუთანხმებლობათა შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

ამხ. დოგადოვის მიერ დანიშნული არბიტრების დადგენილებანიც აგრეთვე საბოლოოა, უკეთუ მათ შესახებ პროტესტს არ განაცხადებს სახალხო კომისარი.

შენიშვნა. ერთი და იმავე სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს შორის აღძრულ დავათ გადასწყვეტენ საამისოდ სახალხო კომისრის მიერ სპეციალურად უფლებამოსილნი პირნი.

ყველა სამეურნეო კომისარიატი წარუდგენს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას ხუთს დღეში ერთხელ მაინც ჯუმლებს სახელშეკრულობო კამპანიის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმს. **ს. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. იანვრის 5.
№ 436
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-11 №-ში 1932 წ. იანვრის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

6. ა/კ. ტრაქტორცენტრის და მისი რესპუბლიკანური განყოფილებების დებულებების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულებები:

ა. ა/კ. ტრაქტორცენტრის შესახებ.

ბ. ა/კ. ტრაქტორცენტრის რესპუბლიკანური განყოფილებების (აზერბაიჯანის ტრაქტორცენტრის, საქართველოს ტრაქტორცენტრის და სომხეთის ტრაქტორცენტრის) შესახებ.

ა. დებულება ა/კ. ტრაქტორცენტრის შესახებ.

ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას (ა/კ. ტრაქტორცენტრს), ა/კსფსრ ტერიტორიაზე ტრაქტორცენტრის მოქმედებელი და დამგეგმავი ორგანოს სახით, დაეკისრება შემდეგი ამოცანები:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ა/კ. ტრაქტორცენტრის რესპუბლიკანური განყოფილებების მოქმედებას და ამ განყოფილებების მეშვეობით—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედებას;

ბ) დაამტკიცოს სამანქანო სატრაქტორო სადგურების საწარმოო და საფინანსო გეგმები და დააფინანსოს ისინი ამ გეგმების მიხედვით;

გ) შეადგინოს საკონტროლო ციფრები და გაანაწილოს დაფინანსების ლიმიტები რესპუბლიკანურ განყოფილებებზე;

დ) დაამტკიცოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო საშუალებებით მომარაგების გეგმები (ტრაქტორებით, სას.-სამ. მანქანებით, დაზგებით) და განახორციელოს ეს გეგმები;

ე) დაამტკიცოს სამანქანო სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო პარკებისათვის საჭირო ნავთის პროდუქტების ჯუმლობითი გეგმები და განაცხადებები;

ვ) დაამტკიცოს წინასწარ ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის გეგმები;

ზ) დააპროექტოს და გაანაწილოს, რესპუბლიკანური განყოფილებების წარდგენისამებრ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ფონდირებული საშენი მასალა და გაუწიოს საერთო ტეხნიკური ხელმძღვანელობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კარმიდამოების მშენებლობას;

თ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ტრაქტორებზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობისათვის კოლმეურნეთა სწავლებისა და მომზადების საქმეს;

ი) მოაწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადება (უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში);

კ) გაუწიოს საერთო კონტროლი იმ ხელშეკრულებების აღსრულებას, რომლებითაც მოწესრიგდება ურთიერთობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის;

ლ) დასდვას, ტრაქტორცენტრის გენერალური ხელშეკრულებების საფუძველზე, გენერალური შეთანხმებანი ამიერკავკასიის სამეურნეო ორგანიზაციებთან — იმ კოლექტიური მეურნეობების მიერ პროდუქციის ჩაბარების შესახებ, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ;

მ) დანიშნოს რესპუბლიკანური განყოფილებების მმართველნი და მათი მოადგილენი — ტრაქტორცენტრის გამგეობის მიერ შემდგომი დამტკიცებით; აგრეთვე დანიშნოს, გარდაანაცვლოს და მოხსნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნომენკლატურული კადრები რესპუბლიკანური განყოფილებების წარდგენით.

შენიშვნა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები დანიშნულ და დათხოვნილ იქნებიან ტრაქტორცენტრის გამგეობის დამტკიცებით.

ბ. დებულება ა/კ. ტრაქტორცენტრის რესპუბლიკანური განყოფილებების (აზერბაიჯანის ტრაქტორცენტრის, საქართველოს ტრაქტორცენტრის და სომხეთის ტრაქტორცენტრის) შესახებ.

ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრის რესპუბლიკანურ განყოფილებებს დაეკისრებათ შემდეგი ამოცანები:

ა) გაუწიონ ოპერატიული ხელმძღვანელობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედებას;

ბ) განიხილონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ შედგენილი საწარმოო და საფინანსო გეგმები;

გ) შეიმუშაონ საკონტროლო ციფრები და გაანაწილონ დაფინანსების ლიმიტები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე;

დ) შეადგინონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო პარკებისათვის საჭირო ნავთის პროდუქტების გეგმები და განაცხადებები და წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კ. ტრაქტორცენტრს;

ე) შეადგინონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კ. ტრაქტორცენტრს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო საშუალებებით მომარაგების გეგმები;

ვ) გაანაწილონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ადგილობრივი ფონდები;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კარმიდამოების მშენებლობას და გაანაწილონ მათ შორის ფონდირებული საშენი მასალა ა/კ. ტრაქტორცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

თ) შეადგინონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის გეგმები;

ი) გაუწიონ უშუალო ხელმძღვანელობა ტრაქტორებზე და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობისათვის კოლმეურნეთა სწავლებისა და მომზადების საქმეს;

კ) მოამზადონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე და კურსებზე საშუალო და დაბალი აგრო-ტეხნიკური კადრები;

ლ) გაუწიონ უშუალო კონტროლი იმ ხელშეკრულებების აღსრულებას, რომლებითაც მოწესრიგდება ურთიერთობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის;

მ) დასდვან, ა/კ. ტრაქტორცენტრის გენერალური შეთანხმებების საფუძველზე, სათანადო შეთანხმებანი რესპუბლიკანურ სამეურნეო ორგანიზაციებთან — იმ კოლექტიური მეურნეობების მიერ პროდუქციის ჩაბარების შესახებ, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ;

ნ) წარუდგინონ ა/კ. ტრაქტორცენტრს დასანიშნად, გარდასანაცვლებლად და მოსახსნელად სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნომენკლატურული მომუშავენი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმს. **ს. ფირუმოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932. წ. იანვრის 3.
№ 437.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-12 №-ში 1932 წ. იანვრის 14-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

7. სამეურნეო და საბჭოთა სამუშაოებზე დემობილიზებულ წითელარმიელთა გამოყენების შესახებ.

მოისმინა-რა ცნობა სამხედრო პროკურორის ამხ. კაზარინსკისა და განმარტებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების წარმომადგენლის ამხ. გიორგაძისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის თავმჯდომარის ამხ. ავისისა, ა/კ. ტრაქტორცენტრის წარმომადგენლის ამხ. ტოლპინცევის და ა/კსფსრ შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ათაბეგოვისა — „სამეურნეო და საბჭოთა სამუშაოებზე დემობილიზებულ წითელარმიელთა გამოყენების თაობაზე" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. სექტემბრის 23-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ, — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

ა) რომ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და აგრეთვე ტფილისის საბჭომ, ბათუმის საბჭომ, ბაქოს საბჭომ და ლენინაკანის საბჭომ სათანადოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შეაფასეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა;

ბ) რომ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებმა არ შეასრულეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, ვერ მოახდინეს საბჭოთა საზოგადოებრიობის ორგანიზაცია დემობილიზებულ წითელარმიელთა გამოყენების საკითხების გარშემო და მთელი საქმე თვითდენას მიანებეს;

გ) რომ ა/კ. ტრაქტორცენტრს არ აქვს ცნობები, რამდენი დემობილიზებული წითელარმიელია მიღებული სამუშაოზე მის სისტემაში, რომ მას არავითარი მინიშნება არ მიუცია ადგილებისათვის და რომ მან არ გაატარა წითელარმიელებისა და ტრაქტორისტების ორგანიზებული გამოყენება;

დ) რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია დემობილიზებული წითეარმიელების საკოლმეურნეო მოძრაობაში გამოყენების მნიშვნელობის შეუფასებლობა ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა და რესპუბლიკანური საკოლმეურნეო ცენტრების მხრით (დირექტივა მიცემულია მხოლოდ სამი თვის შემდეგ, რაც ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის დადგენილება გამოიცა, და ცნობები დემობილიზებულ წითელარმიელთა გამოყენების შესახებ არ არსებობს).

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, „აზნევთ"-ს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინონ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას 1932 წ. იანვრის 1-თვის ზედმიწევნითი მოხსენებანი მათ სისტემებში—რესპუბლიკებისა და რაიონების ხაზით—დემობილიზებულ წითელარმიელთა გამოყენების შესახებ ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს—სისტემატიური მეთვალყურეობა გაუწიონ დემობილიზებულ წითელარმიელების სრულ აღნუსხვას და მათ წესიერად გამოყენებას, რისთვისაც დააკისრონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს ერთ-ერთ წევრს პასუხისმგებლობა უმაღლესი ორგანოების მიერ ამ საკითხის თაობაზე გამოტანილი ყველა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 13.
№ 35.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

8. ა/კსფსრ საბჭოთა მეურნეობების მიერ პურის ჩაბარების გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ არც ერთმა საბჭოთა მეურნეობამ, ორჯონიკიძის სახელობის სამარცვლეულო ტრესტის საბჭოთა მეურნეობის გარდა, არ შეასრულა დავალება ყველა ზედმეტი სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების შესახებ ა/წ. დეკემბრის 10-თვის.

2. მიენდოს ა/კსფსრ პროკურორს ამხ. დოლიძეს—პასუხისგებაში მისცეს ბუნიათ-ზადეს სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სასაქონლო პურის ჩვეულებრივ მარცვლეულზე გაუცვლელად დარიგებისათვის.

3. დაევალოს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—უზრუნველჰყოს ლენინაკანის საბჭოთა მეურნეობისათვის 47 ტონნა ჩვეულებრივი მარცვლეულის დაუყოვნებელი ანაზღაურება, ნაცვლად სარაიონო კავშირების მიერ ამ საბჭოთა მეურნეობისაგან მიღებული ჯიშიანი მარცვლეულისა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად „სოიუზხლებ"-ის ამიერკავკასიის კონტორის წარმომადგენლის განცხადება, რომ მას დადებული აქვს შირაქის საბჭოთა მეურნეობის დირექციასთან ხელშეკრულება 271 ტონნა პურის ჩაბარების შესახებ და რომ ჩაბარება დამთავრებულ იქნება დეკემბრის 15-თვის.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ საბჭოთა მეურნეობების მიერ პურის ჩაბარების გეგმის უცილობელი აღსრულება არა უგვიანეს დეკემბრის 15-სა; ამასთანავე, ერთი საბჭოთა მეურნეობის ჩაბარების დანაკლისი შევსებულ უნდა იქნეს მეორე საბჭოთა მეურნეობის მიერ გეგმის გადამეტებულად შესრულებით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 13.
№ 36.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 335 №-ში 1931 წ. დეკემბრის 16-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

9. პურის მარაგთა აღნუსხვისა და შენახვის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა „სოიუზხლებ"-ის ამიერკავკასიის კონტორის მმართველის მოადგილის ამხ. გუნკინის მოხსენება და პურის სახელმწიფო ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. ვეხოვისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ვარძიელისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. პევცოვის ცნობები—პურის შენახვის და პურის მარაგთა აღნუსხვის საქმის დაყენების შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

ა) რომ ა/კსფსრ-ში პურის მარაგთა აღნუსხვა და შენახვა გაცილებით უკეთ არის დაყენებული წინა წლებთან შედარებით; მაგრამ მაინც სათანადო კავშირი და შეთანხმებულობა ამ საქმეში „სოიუზხლებ"-ისა და „ხლებჟივსოიუზ"-ის სისტემებს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს, განსაკუთრებით მიღმა პუნქტებში (პურის მარაგთა ხელთქონებულობისა და გამოყენების თაობაზე არსებული „სოიუზხლებ"-ისა და „ხლებჟივსოიუზ"-ის ცნობების განსხვავება, პურის მარაგთა შენახვის პირობების შესახებ „სოიუზხლებ"-ის სისტემაში ცნობების არქონა და სხვა მისთ.);

ბ) რომ ჩრდილო კავკასიიდან და უკრაინიდან ა/კსფრ-ში შემოზიდული მარცვლეული გადამეტებით ნოტიოა და თითქმის დეფექტიანიც (სოყდება), რაც, მარცვლის საშრობ და გასაწმენდ ხელსაწყოთა უქონლობის გამო, მარცვლის მასსურად გაფუჭების საფრთხეს ჰქმნის; ხოლო ფქვილი შემოდის ოდესისა და ნოვოროსიისკის პორტებიდან ზღვით უსახეო მდგომარეობაში, ხარისხთა აღრევით, სხვადასხვა წისქვილებისა და სხვადასხვა თვისების და სინტოვისა;

გ) რომ პურეული ტვირთისათვის საკმარისი არ არის არსებული სასაწყობო ფართობი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, და არადამაკმაყოფილებელია მშენებლობა ახალი საწყობებისა ლანჩხუთში, ნატანებში, აბაშაში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, ხოფში, გალში, ქობულეთში და ზესტაფონში.

ამისდამიხედვით აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—დაავალოს: „სოიუზხლებ"-ს—შემოზიდოს ა/კსფსრ-ში მშრალი და ნახევრად მშრალი თვისების პურეული ტვირთი; „სოვტორგფლოტ"-ს—აწარმოოს პურეული ტვირთის ტრანსპორტირება სეპარირებული სახით ხარისხებისდაკვალად და პურის სახელმწიფო ინსპექციას—გააძლიეროს კონტროლი დატვირთვის პორტებში.

2. დაევალოს ფოთისა, ბათუმისა, სოხუმისა და ოჩემჩირის პორტების უფროსთ—აწარმოონ გადმოტვირთვისა და შემდგომ ტრანზიტით წარგზავნის დროს ფქვილის მტკიცე განხარისხება „სოვტორგფლოტ"-ის მარკების მიხედვით.

3. დაარსებულ იქნეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან მუდმივი კომისია პურის მარაგთა შენახვის შემოწმებისათვის—კოოპერაციისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სოიუზხლებ"-ისა, პურის სახელმწიფო ინსპექციისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სახანძრო დაცვის წარმოდგენელთა მონაწილეობით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიას—შეამოწმოს სამი დღის ვადაზე „სოის დამზადების რაიონებში სასაწყობო სადგომებით „სოიუზხლებ"-ის უზრუნველყოფის შესახებ" გამოტანილი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის თარიღისა და 73 №-ის დადგენილების აღსრულება.

5. წინადადება მიეცეს ა/კ. სამომმარაგებლო საგამსაღებლო ტრესტს—უზრუნველჰყოს „სოიუზხლებ"-ი 25.000 ცალი კრამიტით, 33.000 ცალი ეტერნიტით და 34.000 ცალი ეტერნიტის კნოპით, რაც საჭიროა აგებული საწყობების გადასახურავად და ახლად ასაგები საწყობების დასახურავად გუდაუთში და ოჩემჩირში.

6. დაევალოს „სოიუზხლებ"-ისა და „ზაკხლებჟივსოიუზ"-ის კონტორების ხელთმძღვანელთ იხმარონ უაღრესი გადამწყვეტი ღონისძიებანი მიღმა ადგილებში ჩარჩენილი პურის დაუყოვნებელი აღმოჩენისათვის და აგრეთვე „სოიუზხლებ"-ის განწესების გარეშე პურის უკანონოდ ხარჯვის შემთხვევების გამოაშკარავებისათვის და მისცენ დამნაშავენი პასუხისგებაში.

7. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. პევცოვის განცხადება, რომ მას გაუცია განკარგულება მიიღონ რაიონების საწყობებში სოია სინოტივით 18%-დე.

8. მიენდოს აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ ის სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ პურის აღნუსხვისა და შენახვის მდგომარეობა რაიონებში.

9. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—გამოიძიოს ლანჩხუთიში, ნატანებში, აბაშაში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, ხოფში, გალში, ქობულეთში და ზესტაფონში აგებული ახალი საწყობების სახურავებში წყლის დენის მიზეზები და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს.

10. 1932 წლის თებერვლის პირველ ნახევარში მოსმენილ იქნეს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. განყოფილების მოხსენება საბეღლო საქმის მავნებლებთან ბრძოლის მსვლელობის შესახებ (მღრღნელი, ჭია, ჩრჩილი და სხვ.)

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 13.
№ 37.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

10. ნახიჩევანის სსრ-ის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის საბჭოთა მე V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსიის დადგენილების ამიერკავკასიის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ აღსრულების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ნახიჩევანის სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის საბჭოთა მე-V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესსიის დადგენილება შეასრულეს:

ა) ა/კ. ტრაქტორცენტრმა, რომელმაც გაშალა ორი სამანქანო-სატრაქტორო სადგური—ერთი ნორაშენში და მეორე—ნახიჩევანში;

ბ) „ოვცევოდ"-ის ა/კ. კონტორამ, რომელმაც მოაწყო და განამტკიცა საბჭოთა მეცხვარეობის მეურნეობა „ბეუქ-დუზი";

გ) ა/კ. მებამბეობის ტრესტმა, რომელმაც წარმატებით შეასრულა სამუშაო ნორაშნის ბამბასაწმენდ ქარხანაში;

დ) ა/კ. სარეწაო კოოპერაციის საბჭომ, რომელმაც ორგანიზაციულად განამტკიცა „ნახსნაბბირლიგი" და გაადიდა სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის რაოდენობა.

2. აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული დადგენილება არ შეასრულეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:

ა) ა/კ. ბალ-ბოსტან-ტრესტმა, „სკოტოვოდ"-მა და მეთესლეობის ტრესტის აკ. კონტორამ—ნახჩივანის სსრ-ში საბჭოთა მეურნეობის მოწყობის ხაზით;

ბ) „ზაკხლებჟივსოიუზ"-მა—სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების მოწყობის ხაზით;

გ) ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა, რომელმაც ვერ გაშალა სათანადო ხელმძღვანელობა და ინსტრუქტაჟი ნახიჩევანის საკოლმეურნეო სისტემისათვის და ვერ გამოიყენა მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების საკოლმეურნეო მშენებლობისათვის გადადებული კრედიტები;

დ) ა/კ. მებამბეობის შენაერთმა—ნახჩივანის სსრ-ის წყლის მეურნეობის რეკონსტრუქციის სამუშაოთა ხაზით;

ე) „კონსერვტრესტ"-ის აკ. კონტორამ—საბჭოთა მეხილეობა-მებოსტნეობის მეურნეობის საწარმოო პროგრამის შესრულებისა და ამ მეურნეობაში საბინაო მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის ხაზით;

ვ) „ზაკმინერალრუდ"-მა—მარილის წარმოების რეკონსტრუქციისა და მარილის სარეწაოების მშენებლობის ხელმძღვანელობის ხაზით;

ზ) ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველომ—საგზაო მშენებლობის გაშლის ხაზით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) კავშირგაბმულობის აკ. საოლქო სამმართველომ— რაიონებთან კავშირგაბმულობის მოწყობის ხაზით.

3. აღინიშნოს, რომ ნახჩივანის სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ვერ გამოიყენა ყველა მის ხელთქონებული შესაძლებლობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესსიის დადგენილების შესასრულებლად, კერძოდ—ვერ გამოიყენა მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონების საკოლმეურნეო მშენებლობის დასაფინანსებლად გადადებული თანხები.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გაითვალისწინონ 1932 წლის საკონტროლო ციფრებში საჭირო ღონისძიებანი, რათა სესსიის დადგენილება ნახჩივანის სსრ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესახებ განხორციელებულ იქნეს სავსებით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. დეკემბრის 13.
№ 38.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

11. „საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. ივლისის 10-ის დადგენილებისა და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება და საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა ა/კ. ბიუროს, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და ტფილისის საბჭოს წარმომადგენლების ცნობები „საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. ივლისის 10-ის დადგენილებისა და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსე-

ბული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დადგენილების შესასრულებლად საკმარისი ვადა იყო,ბაქოს გამოკლებით, არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ტფილისისა და ერივანის საქალაქო საბჭოები, ხოლო ა/კსფსრ რაიონებში იგი სულაც არ ხორციელდება.

ამისდამიხედვით აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ტფილისისა და ერივნის საქალაქო საბჭოებმა, აგრეთვე სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა არ იხმარეს საკმარისი ღონისძიებანი აღნიშნული დირექტივების სასწრაფოდ შესრულებისათვის, ხოლო ზოგიერთი საწამოს (ზეთის და საპნის ქარხნები, განჯის კომბინატი, აზერბაიჯანის წყლის მეურნეობის სამმართველო, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის კომბინატი) ხელმძღვანელი ფორმალურად მოეკიდა დადგენილებას.

2. აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის სამომხმარებელო კოოპერაციის კავშირმა და მისმა ადგილობრივმა სისტემამ არ შეასრულეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ თავის დროზე გაცემული განკარგულება—საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეების მომარაგების ორგანიზაციის შესახებ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილებისამებრ, ხოლო ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა ვერ გამოიჩინა საჭირო სიბეჯითე მისი განკარგულების აღსრულების საქმეში იმის შემდეგაც-კი, რაც გამოიცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს განმარტება საინჟენერო სატეხნიკო მომუშავეთა მომარაგების საკითხის გამო, და მისი დირექტივების განხორციელებისათვის მეთვალყურეობის გაწევის შესახებ.

3. განსაკუთრებით აღინიშნოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კადრების სექტორის შეუწყნარებელი უგულვებელი მოპყრობა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში საინჟენერო-სატხნიკო მომუშავეთა კონტინგენტის გამორკვევის საკითხისადმი.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—პერსონალურად ამხ. პევცოვს—იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების იმ ნაწილის შესრულებისათვის, რაც ეხება საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა მომარაგებას ა/კსფსრ-ში და წარმოუდგინოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას 1932 წ. თებერვლის 10-თვის დაწვრილებითი მოხსენება.

5. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, საინჟენერო-სატეხნიკო ძალთა სასექციათაშორისო ბიუროსთან ერთად, გააზუსტონ უმოკლეს ხანში საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა კონტინგენტები როგორც მთლად ა/კსფსრ-ში, ისე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში, წარმოების დარგების მიხედვით.

6. მიენიშნოს ტფილისის საბჭოს მომარაგებისა და ვაჭრობის მოწესრიგების სექტორის გამგეს ამხ. მ. ცინცაძეს, რომ მან არ იხმარა ღონისძიებანი საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა შესახებ გამოცემული მთავრობის 1931 წ.

აგვისტოს 1-ის დადგენილების თავის დროზე აღსრულებისათვის, რამაც გამოიწვია ქ. ტფილისში საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა მომარაგების გაუარესება მათი სავაჭრო წერტებისაგან მოხსნისა და დახურულ განმანაწილებლებზე თავის დროზე მიუმაგრებლობის გამო.

7. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებთან არსებულ აღსრულების შეემოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ 1931 წ. აგვისტოს 1-ის დადგენილების აღსრულება რაიონებში.

8. ჩაითვალოს არა სწორ მოქმედებად იმ ზოგიერთი ორგანიზაციის მოქმედება, რომელმაც მოხსნა მომარაგებიდან ა/კსფსრ რაიონებში დროებითი თუ მუდმივი მუშაობისათვის წარვლინებულ საინჟენერო-სატეხნიკო მომუშავეთა რიცხვიდან მყოფი პირნი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. იანვრის 11.
№ 39.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-13 №-ში 1932 წ. იანვრის 15-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

12. ა/კსფსრ-ში ბაღებისა და ბოსტნების წამლობის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ხუნდაძის ცნობა—ა/კსფსრ-ში ბაღებისა და ბოსტნების წამლობის მსვლელობის შესახებ და სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის წარმომადგენლის ამხ. ღლონტისა და ა/კ. ბაღ-ბოსტან-კავშირის წარმომადგენლის ამხ. ბესელიძის განმარტებანი,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თავის დროზე აღძრა ბაღებისა და ბოსტნების ორგანიზებულად წამლობის საკითხი, მაგრამ ვერ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა ამ საკითხის განხორციელებისათვის.

2. აღინიშნოს, რომ ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი ფორმალურად მოეკიდა ბაღებისა და ბოსტნების წამლობის საქმეს და არ შეამოწმა მისი ქვემდებარე სისტემის მიერ მისგან გაცემული განკარგულების აღსრულება.

3. განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ ა/კ. ბალ-ბოსტან-კავშირმა გააჭიანურა ბაღებისა და ბოსტნების წამლობის საქმე და იგი ფორმალურად მოეკიდა ამ საქმეს, თანაც არ შეასრულა ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მოადგილის ამხ. პევცოვის პირდაპირი განკარგულება—სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორასთან ბაღების წამლობის თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საბჭოთა მეურნეობების ტრესტები ბაღების წამლობის ანხორციელებენ თავიანთი საკუთარი საშუალებით.

5. წინადადება მიეცეს ამხ. პევცოვს—დაადვას გადასახდელი ბაღებისა და ბოსტნების წამლობის საქმის პასუხისმგებელ წარმომადგენელთ.

6. წინადადება მიეცეს ა/კ. ბალ-ბოსტან-კავშირს—უზრუნველჰყოს ბაღებისა და ბოსტნების წამლობა 1931 წლის შემოდგომის კამპანიის გეგმის მოცულობით აგრეთვე ბალ-ბოსტან საკოლმეურნეო ცენტრის სასაქონლო ფერმებისაც.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მოაწყონ ხელმძღვანელობა ბაღებისა და ბოსტნების წამლობის კამპანიის ჩატარებისათვის; ამავე დროს გადასწყვიტონ ყველა სადავო საორგანიზაციო საკითხი ა/კ. ბალ-ბოსტან-კავშირსა და სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ა/კ. კონტორას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით, უზრუნველჰყოს ბაღებისა და ბოსტნების წამლობის სამუშაოთა თავის დროზე დაკრედიტება.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. იანვრის 11.
№ 40.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

13. ადგილობრივი მატყლისათვის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტის სტანდარტის დამუშავების საკითხის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრის ამხ. იაგნიტინსკის ცნობა და ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. აზრუმანოვისა და საააქციო საზოგადოების „შერსტ"-ის წარმომადგენლის ამხ. ტაროიანის განმარტებანი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დამტკიცებულად იქნეს ცნობილი, რომ ადგილობრივი მატყლის სტანდარტის დამუშავების სამუშაოთა ჩაშლა, 45. 000 მან. არარაციონალურად დახარჯვა და შეგროვილი მატყლის ნიმუშების განსაზღვრული ნაწილის გაფუჭება მოხდა ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტის ყოფილ ხელმღვანელთა ამხანაგ ლომიძისა და არტემ ბეგზადიანის ბრალით.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის კომისიის მიერ ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე არტემ ბეგზადიანი, ადგილობრივი მატყლის სტანდარტიზაციის სამუშაოთა ჩაშლისათვის, მოხსნილია მე-2 კატეგორიით და მას აკრძალული აქვს ორი წლის განმავლობაში დაიჭიროს პასუხსაგები თანამდებობა.

თავისი მოვალეობისადმი დაუდევრად მოპყრობისათვის—(თავისი მოადგილის ზემოაღნიშნულ მოქმედებაზე მიმშვებლობა)—ამხ. ლომიძეს გამოეცხადოს საყვედური.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტს—შეათანხმოს იანვრის 30-მდე შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სტანდარტიზაციის კომიტეტთან სტანდარტის დამუშავების შემდგომ სამუშაოთა საააქციო საზოგადოება „შერსტ"-ის ა/კ. კონტორისათვის გადაცემის საკითხი.

4. მატყლის სტანდარტის დამუშავების დაფინანსება დაეკისროს საააქციო საზოგადოება „შერსტ"-ის ა/კ. კონტორას, იმისდამიუხედავად, მიიღებს იგი თუ არა მონაწილეობას შემდგომი დამუშავების ორგანიზაციაში.

5. დაენიშნოს ამიერკავკასიის სასტანდარტო კომიტეტს უკიდურეს ვადად 1932 წ. იანვრის 31 სტანდარტის შემდგომი დამუშავების ყველა ტექნიკური საკითხის სრულად და საბოლოოდ გადასაწყვეტად და სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო საფეიქრო ინსტიტუტთან შესათანხმებლად, რამაც უზრუნველ უნდა ჰყოს სამუშაოთა აღდგენა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. იანვრის 11.
№ 41.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

14. ამიერკავკასიის რკინის გზების აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების სამუშაოთა მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის რკინის გზების დირექტორის ამხ. სინევის მოხსენება და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრის ამხ. მირზაბეგიანის თანამოხსენება „ა/კ. რკ. გზების აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ,—აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ა/კ. რკ. გზების აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების სამუშაოთა ტემპები მეტის-მეტად მინელებულია, რასაც შედეგად მოჰყვა 1931 წ. საწარმოო პროგრამის ჩაშლა (შესრულებულია 20%).

ამ გარღვეულობის ძირითადი მიზეზია გაუპიროვნება და მუშაობისათვის სუსტი ხელმძღვანელობის გაწევა გზათა სახალხო კომისარიატისა და ა/კ. რკ. გზების დირექციისა და სარაიონო სამმართველოების მიერ.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ა/კ. რკ. გზების აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების სამუშაოთა მსვლელობის შემოწმების შედეგად შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ღონისძიებანი ხელმძღვანელობის გაძლიერებისა და სამუშაოთა ტემპების დაჩქარებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების დირექციას შექმნას უმოკლეს ხანში ავტობლოკირების სამუშაოთა ტემპებში გარდატეხა, რისთვისაც გააძლიეროს მაქსიმალურად ხელმღვანელობა როგორც თავის მხრით, ისე სარაიონო სამმართველოების მხრით.

4. დაევალოს გზათა დირექციას—დაუყოვნებლივ გამოჰყოს სათანადო პირნი, რომელნიც პასუხისმგებელ იქნებიან საწარმოო პროგრამის აღსრულებისა და აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების ყველა სამუშაოს დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ დანიშნულ ვადაზე—1932 წ. ივნისის 1-ს.

5. აღიძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი იმის თაობაზე, რომ გზათა სახალხო კომისარიატი საკმარის ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას არ უწევს მუშაობათა მსვლელობას და სრულიად არაგეგმიანია და არასაკმარისი სამუშაოთა მომარაგება ცენტრალიზებული მასალებით და ფინანსიური სახსარით.

6. რადგანაც ავტობლოკირების 1931 წ. გეგმის აღსრულებისათვის პასუხისმგებელნი არიან ა/კ. რკ. გზების დირექციის შემდეგი მომუშავენი: ა) კავშირგაბმულობისა და სიგანალიზაციის განყოფილების უფროსი ამხ. ქავთარაძე მიენიშნოს მას ეს საყურადღებოდ; ბ) ავტობლოკირების ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. წერეთელი—მოიხსნას იგი თავის თანამდებობიდან.

7. ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს—გააძლიეროს 1-ლ კვარტალში აღნიშნულ სამუშაოთა დაფინანსება, რათა ეს სამუშაოები თავის დროზე იქნეს აღსრულებული.

8. მოსმენილ იქნეს აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მიერ აპრილის თვეში ა/კ. რკ. გზების დირექციის ინფორმაცია აღმოსავლეთი უბნის ავტობლოკირების მსვლელობის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. იანვრის 11.
№ 42.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

15. ა/კსფსრ საკონსერვო ქარხნების საბჭოთა მეურნეობების საკითხის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. იაგნიტინსკის მოხსენება, ა/კსფსრ ასხალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის დირექტივა საკონსერვო ქარხნების გარშემო საკუთარი მეურნეობების გაშლის შესახებ, რათა მათი მოთხოვნილების 15—20%-ი დაფარულ იქნეს საკუთარი ხილეულ-ბოსტნეული ნედლეულით, მთელ რიგ საკონსერვო ქარხნებში აღსრულებული არ არის, ადგილობრივი ორგანოების მიერ საამისოდ საჭირო ვარგისი მიწის ნაკვეთების მიუჩენლობის გამო:

ქუთაისის საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტმა მიუჩინა საკონსერვო ქარხანას სულ 36 ჰექტარი (ნაცვლად 300 ჰექტარისა);

ორდუბათის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიჩენილი მიწის ფართობი —გამოსაყენებლად არ ვარგა.

აღსრულების კომისია აღნიშნავს, რომ დასახელებულმა ორგანიზაციებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რასაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭო თავიანთ 1931 წ. სექტემბრის 24-ის მიმართვაში აკუთნებენ საკონსერვო მრეწველობის ფართოდ გაშლისა და მისი სანედლეულო ბაზისით უზრუნველყოფის საქმეს.

პარტიისა და მთავრობის დირექტივის სასწრაფოდ განხორციელების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

E-160

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა მოისმინონ მომარაგების სახალხო კომისარიატების მოხსენებანი და იხმარონ ღონისძიებანი საქარხნო საბჭოთა მეურნეობებისათვის წყლით უზრუნველყოფილ მიწის ფართობთა მიჩენისათვის, ისეთი რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება ქარხნების სანედლეულო მოთხოვნილების 15—20%-ის საკუთარი ნედლეულით დასაკმაყოფილებლად.

2. მიექცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყურადღება იმ გარემოებას, რომ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საქარხნო საბჭოთა მეურნეობებისათვის მიწების მიჩენისა და ამ მიწების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის საქმე.

3. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია ლენქორანის საკონსერვო ქარხნის საბჭოთა მეურნეობა გაშლილ იქნეს ისეთი სივრცით, რაც თვალსაჩინოდ გაადიდებს საკუთარი ნედლეულით მოთხოვნილების დაფარვის პროცენტს დირექტივაში აღნიშნულ 15—20 პროცენტთან შედარებით; ამასთანავე ასეთი გაფართოების საკითხი დაკავშირებულ უნდა იქნეს გარემო მყოფ საგლეხო მეურნეობათა ინტერესებთან.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. იანვრის 11.
№ 43.
ტფილისი.

მთავლიტი № 314. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400